



ექსპერტი მონმეების ინსტრუქტაჟი

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის
(EHRAC) სახელმძღვანელო საქმეში ექსპერტის
ჩართვასთან დაკავშირებით



Middlesex
University
London

შინაარსი

ვინ არის ექსპერტი?	3
რატომ უნდა ჩავრთოთ საქმეში ექსპერტი?	3
ჩავრთოთ თუ არა საქმეში ექსპერტი?	4
როდის უნდა ჩავთოთ საქმეში ექსპერტი?	5
ვინ მოვიწვიოთ?	5
როგორ ჩავრთოთ საქმეში ექსპერტი?	5
დანართი	9

ექსპერტი ასრულებს სასიცოცხლო და ხშირად გადამწყვეტ როლს სამართალწარმოების პროცესში. ექსპერტს შესწევს უნარი განმარტოს და შეაფასოს კომპლექსური სამეცნიერო ან ტექნიკური მტკიცებულებები ან მოამზადოს მნიშვნელოვანი შინაარსის შემცველი ანალიზი, რამაც შესაძლოა გარდამტეხი მნიშვნელობა იქონიოს დავის წარმატებით დასრულებაში. წინამდებარე სახელმძღვანელო დაეხმარება ადვოკატებს განსაზღვრონ თუ რატომ, როდის და როგორ ჩართონ ექსპერტი საერთაშორისო სამართალწარმოებაში.

ვინ არის ექსპერტი?

ექსპერტი არის კონკრეტული დარგის სპეციალისტი, რომელსაც იწვევს საქმის რომელიმე მხარე, რათა მან მოამზადოს ობიექტური დასკვნა ექსპერტული ცოდნის ფარგლებში სადავო ფაქტებთან ან კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ექსპერტი არის მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი პირი - ექსპერტის კომპეტენციაში არ შედის საქმის ადვოკატირება და კონსულტაციის გაწევა ან მოსაზრებების წარმოდგენა მისი ექსპერტული ცოდნის მიღმა. ექსპერტი არ ემხრობა საქმეში ჩართულ რომელიმე „მხარეს.“ ექსპერტის ფასეულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის დამოუკიდებელი და, შესაბამისად, სასამართლოსთვის ექსპერტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არის სანდო და დამაჯერებელი.

საერთაშორისო სასამართლოებში წარდგენილ საქმეებთან დაკავშირებით კი, რომლებიც ძირითადად ეყრდნობა მხარეთა წერილობით საჩივრებს, ექსპერტის მტკიცებულებები უნდა იქნას წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნის სახით, რომელსაც წარადგენს ექსპერტის დამქირავებელი მხარე საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

ექსპერტი შეიძლება იყოს სხვადასხვა სფეროს ექსპერტი, მათ შორის, მაგალითად: სასამართლო-სამედიცინო პათოლოგოანატომი და ფსიქოლოგი, ბალისტიკოსი, სამედიცინო, გარემოსდაცვითი და ტოქსიკოლოგიის სფეროს ექსპერტი ან ანტიტერორისტული ოპერაციების სტანდარტებისა და მოთხოვნების ექსპერტი.

რატომ უნდა ჩავრთოთ საქმეში ექსპერტი?

უმეტეს შემთხვევებში ექსპერტის ჩართვა საქმეში არ არის საჭირო, რადგან მოსარჩელესა და მოწმეებს შეუძლიათ საკუთარი ძალებით დაამტკიცონ მათ წინააღმდეგ ჩადენილ სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტები (რაც გამყარებული უნდა იყოს სხვა მტკიცებულებებით, მაგალითად, სამედიცინო დასკვნა), მაგალითად, საპროტესტო აქციის ძალადობრივი დაშლის ან პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის საქმე.

რაც შეეხება საერთაშორისო სასამართლოებში წარდგენილ საქმეებს, მნიშვნელოვანია ადვოკატებმა მოიპოვონ საჭირო მტკიცებულებები დარღვევის დასამტკიცებლად, როგორცაა მაგალითად, მოწმეთა ჩვენებები და სამედიცინო დასკვნები და სხვა მტკიცებულებები, და არ დაეყრდნონ მხოლოდ პროკურატურის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს (იხ. EHRAC-ის სახელმძღვანელო მოწმისგან ჩვენების ჩამორთმევის შესახებ, გვ. 3). სამართლებრივი არგუმენტის მომზადებისას, ადვოკატი ანალიზებს კანონებს და მოპოვებულ მტკიცებულებებს, რათა დაამტკიცოს, რომ დარღვევას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. ამგვარად, ადვოკატს შეუძლია გონივრულ ფარგლებში გამოკვეთოს და ეჭვქვეშ დააყენოს მტკიცებულებათა შესაბამისობა და უტყუარობა და დაეყრდნოს საერთაშორისო ანგარიშებსა და საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე შემუშავებულ სახელმძღვანელო პრინციპებს. ამასთან, ადვოკატი არ წარმოადგენს მტკიცებულებებს და ასევე არ ამტკიცებს იმას, რაც სცდება მისი პროფესიული ცოდნის ფარგლებს.

თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში დავა შეეხება ისეთ საკითხს, რომელიც სცდება ადვოკატის, მოსარჩელის, მოწმეებისა და ასევე, სასამართლოს კომპეტენციას და გამოცდილებას. ექსპერტი კი კვალიფიცირდება კონკრეტულ სფეროში და ფლობს დემონსტრირებად ექსპერტულ ცოდნას და დამოუკიდებლობას, ამიტომ ექსპერტის აზრი კონკრეტულ, სპეციფიკურ საკითხთან მიმართებაში წარმოადგენს მეტად ღირებულ მოსაზრებას.

მაგალითი:

პატიმრის საექვო გარდაცვალების საქმეში, პროკურატურა შეიძლება დაეყრდნოს გაკვეთის დასკვნას, რომელიც აცხადებს, რომ პირი გარდაიცვალა ბუნებრივი მიზეზების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა შეიძლება გამოავლინოს ანგარიშში არსებული აშკარა შეუსაბამობები ან შეცდომები, ადვოკატი არ არის პათოლოგოანატომი და შესაბამისად, ვერ შეაფასებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამედიცინო მტკიცებულებებს, ანალიზებსა და დასკვნებს, მაშინ როცა ექსპერტ პათოლოგოანატომს გააჩნია ამგვარი ანალიზის ჩატარების კვალიფიკაცია. შედეგად, ადვოკატს შეუძლია წარდგენილ საჩივარში დაეყრდნოს ექსპერტიზის დასკვნას, და საექსპერტო დასკვნა ასევე დაეხმარება სასამართლოს სწორად გაიაზროს მტკიცებულებების მნიშვნელობა და მიიღოს გადაწყვეტილება პირის გარდაცვალების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. (იხ. საქმე *ძიძავა საქართველოს წინააღმდეგ, დანართი*)

ღირებულებების დინამიკასა და შედეგებს, ან სქესის შეცვლის იძულებითი ოპერაციის დროს გამოყენებულ სამედიცინო პროცედურებს, რისკებსა და შედეგებს. რასაკვირველია, თუკი არსებობს შესაბამისი საერთაშორისო ანგარიშები, შესაძლებელია მათი მითითება საჩივარში, თუმცა ზოგჯერ კონკრეტული საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი ინფორმაცია ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი.

ჩავროთ თუ არა საქმეში ექსპერტი?

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ შესაძლოა წარმოიშვას ექსპერტული მტკიცებულებებისა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის მოწვევის საჭიროება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად. ექსპერტის დაქირავება შესაძლოა დიდ თანხებთან იყოს დაკავშირებული და ამიტომ აუცილებელია იმის განჭვრეტა მოახდენს თუ არა ექსპერტი მნიშვნელოვან გავლენას საქმის შედეგზე ან ხომ არ არსებობს უკვე საკმარისი ინფორმაცია მტკიცებულებების, საერთაშორისო ანგარიშებისა და სხვა ხელმისაწვდომი რესურსების სახით.

ხშირ შემთხვევაში, სულაც არ არის აუცილებელი ან მიზანშეწონილი ექსპერტის ჩართვა. მაგალითად, სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებულ საქმეში ყოველთვის არ არის საჭირო და სასურველი სასამართლო პათოლოგოანატომის დაქირავება აუტოფსიის დასკვნის გასაანალიზებლად ან ბალისტიკოსის მოწვევა უსაფრთხოების სამსახურების მიერ განხორციელებული ლიკვიდაციის შესახებ პროკურატურის მიერ მომზადებული დასკვნის გასაჩივრების მიზნით, რადგან საქმეში შეიძლება უკვე არსებობდეს საკმარისი მტკიცებულება, გაკვეთის დასკვნა შეიძლება იყოს უპირატესად ზუსტი, ან პროკურატურის ანგარიში არ იყოს სადავო ან საექვო. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ექსპერტი წარმოადგენს დასკვნას, რომელიც თავისუფალია საქმის არსებითი განხილვის ან მისი დამქირავებელი მხარის გავლენებისგან. ამასთან, ექსპერტის დასკვნა შესაძლოა ამყარებდეს პროკურატურის ვერსიას.

ექსპერტის მოწვევის საკითხის გადაწყვეტისას, ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი ძირითადი მტკიცებულებები და მხოლოდ ამის შემდეგ იქნას მიღებული გადაწყვეტილება, თუ რამდენად საჭიროა სპეციალური სამეცნიერო ან ტექნიკური ანალიზი, არის თუ არა მტკიცებულებები არაზუსტი, საექვო ან არაპროფესიონალური, და საჭიროა თუ არა ექსპერტიზის დასკვნა ამ ყველაფრის შესაფასებლად. ზოგიერთ შემთხვევაში, სასურველია ექსპერტი წინასწარ გაეცნოს მნიშვნელოვან მტკიცებულებებს (მაგალითად, ექსპერტიზის დასკვნას), რათა მან შეაფასოს არსებობს თუ არა რაიმე სადავო ასპექტი სათანადოდ დასაბუთებული ექსპერტიზის დასკვნის წარმოსადგენად. დანართში მოცემულია ის მაგალითები, სადაც ექსპერტი იქნა ჩართული საქმეში და მისმა ანგარიშმა გავლენა მოახდინა საქმის საბოლოო შედეგზე.

რაც შეეხება ისეთ საქმეებს, სადაც შეუძლებელია ან არ არის სასურველი ექსპერტის ჩართვა, უნდა შეფასდეს თუ რამდენად მიზანშეწონილია საკითხის მოგვარება საქმეში მესამე მხარის ჩარევით. ამგვარი ჩარევა ვერ გავრცელდება საქმის არსებით განხილვასა ან საქმის კონკრეტულ ფაქტებზე (ანუ ექსპერტი ვერ შეისწავლის საქმეში არსებულ კონკრეტულ მტკიცებულებებს), თუმცა ექსპერტს შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი კონტექსტუალური საკითხის შეფასება,

როგორცაა რომელიმე ქვეყნის ან რეგიონის კონკრეტული თემის მიმართ არსებული დომინანტური დამოკიდებულება, ან კონკრეტულ რეგიონში არსებული კანონის მიმართ არსებული კონსენსუსის ანალიზი. ასევე გაითვალისწინეთ, რომ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს კონკრეტულ საქმეში ექსპერტის ჩართვის შესახებ ნებართვის გაცემა.

როდის უნდა ჩავთოთ საქმეში ექსპერტი?

ზოგადად, ექსპერტის საქმეში ჩართვა რეკომენდებულია მაშინ, როდესაც საქმე დაკომუნიცირებულია და, შესაბამისად, შესაძლებელია მოხდეს მისი არსებითი განხილვა. აღნიშნულის განხორციელება მიზანშეწონილია, ვინაიდან ამ აეტაპზე პროკურატურა წარადგენს თავის არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და, შესაბამისად, ექსპერტს შეეძლება შეაფასოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება ადრეულ ეტაპზე გახდეს საჭირო, რათა გადაწყდეს საჩივრის დასაშვებობის საკითხი (prima facie დარღვევის მტკიცების დროს).

ვინ მოვინვიოთ?

ექსპერტის დაქირავება ხორციელდება მათი ექსპერტული ცოდნის გამო, შესაბამისად მნიშვნელოვანია დარწმუნდეთ, რომ ექსპერტი საკმარისად კვალიფიციურია კონკრეტულ სფეროში და ფლობს შესაბამის პროფესიულ გამოცდილებას, ექსპერტულ ცოდნას და გავლილი აქვს სათანადო გადამზადება. ასევე, მნიშვნელოვანია რომ მოხდეს ექსპერტის დამოუკიდებლობის, დაფინანსების წყაროს, პროფესიული კუთვნილების ან პროფესიულ დავებში მონაწილეობის გადამოწმება, რათა თავიდან იქნას აცილებული პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი, მიკერძოება ან უნდობლობა, რამაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ექსპერტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მტკიცებულებითი ძალა. ზოგიერთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია საერთაშორისო ექსპერტის დაქირავება, რომელიც ფლობს გამოცდილებას მსგავს საქმეებთან დაკავშირებით შედარებით იურისდიქციებში, და შეუძლია ამ გამოცდილების გამოყენება. თუკი ადგილობრივი ექსპერტიზა არ არის აუცილებელი, საერთაშორისო ექსპერტს ენიჭება უპირატესობა, ვინაიდან მას შეუძლია თავისუფლად ჩამოშორდეს ეროვნულ კონტექსტს, რაც მას მიანიჭებს დამოუკიდებლობის და ობიექტურობის უფრო მეტ ხარისხს.

გონივრულ ვადებში და პროპორციულად შეთანხმებული ჰონორარის ფარგლებში (იხ. ქვემოთ).

არაკვალიფიციური ან გამოუცდელი ექსპერტის დაქირავება შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს საქმისთვის.

როგორ ჩავრთოთ საქმეში ექსპერტი?

ხელშეკრულება

ექსპერტის დაქირავების პირობები თავიდანვე უნდა იქნას გაწერილი ხელშეკრულების სახით და შემდეგი ინფორმაციის მითითებით:

- ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია;
- ექსპერტის მიერ მოთხოვნილი მომსახურება, მაგ. X საქმეში ჩართვა X საქმის შესახებ დასკვნის მომზადების მიზნით;
- ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის ვადები; და
- ანაზღაურების საფუძველი (საათობრივი ან დღიური ანაზღაურება ან წინასწარ შეთანხმებული ჰონორარი) და დასკვნის წარმოსადგენად აუცილებელი საათების/ დღეების რაოდენობა.

დაუშვებელია ისეთი ანაზღაურების შეთავაზება ან მიღება, რომელიც დამოკიდებულია ექსპერტიზის დასკვნის ხასიათზე ან საქმის შედეგზე და ეჭვქვეშ აყენებს ექსპერტის დასკვნის რეალურ ან სავარაუდო დამოუკიდებლობას. ექსპერტის ანგარიშსწორება შეიძლება გადაიდოს საქმის დასრულებამდე, თუკი ჰონორარი არ არის დამოკიდებული საქმის შედეგზე. ასევე, ექსპერტის ჰონორარი შეიძლება შეტანილ იქნას სასამართლო ხარჯებსა და საქმესთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნაში, რა დროსაც სასამართლოს უნდა წარედგინოს ექსპერტთან გაფორმებული ხელშეკრულება მტკიცებულების სახით.

მოთხოვნები

მოთხოვნები უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით და მოიცავდეს შემდეგს: ექსპერტიზის დასკვნის კომპეტენციის სფერო ან მიზნები; შესასწავლი საკითხის, მტკიცებულებებისა და დოკუმენტების აღწერა, რომელთა საფუძველზეც ექსპერტმა უნდა მოამზადოს დასკვნა; პასუხგასაცემი კონკრეტული შეკითხვები ან საკითხები, და ანგარიშის წარდგენის ვადები. ექსპერტმა წერილობით უნდა დაადასტუროს საკუთარი თანხმობა ამგვარი მოთხოვნების შესრულების მზაობის შესახებ.

კომპეტენციის ფარგლები

ექსპერტის პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციის ფარგლებში. მაგალითად, დაავალეთ ბალისტიკოსს ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის, პოზიციისა და იარაღის ტრაექტორიის და არა ადამიანის გარდაცვალების მიზეზების შესახებ დასკვნის მომზადება.

მტკიცებულებები

ექსპერტს უნდა გადაეცეს კონკრეტული საქმის გარშემო არსებული შესაბამისი მტკიცებულებები და ფაქტები, თუმცა არ არის აუცილებელი საქმეში დართული ყველა დოკუმენტის მიწოდება. მაგალითად, გარდაცვალების მიზეზის დასადგენად საჭიროა გვამის გაკვეთის დასკვნის, მიყენებული დაზიანებების ამსახველი ფოტოსურათების და მოწმეთა ჩვენებების მიწოდება. გაითვალისწინეთ, რომ საერთაშორისო ექსპერტისთვის გადაცემული მტკიცებულებები, რომელსაც ექსპერტი გამოიყენებს დასკვნის მოსამზადებლად, უნდა იყოს მხოლოდ დოკუმენტური ფორმით წარმოდგენილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩატარებულია დაზარალებულის სამედიცინო ან ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.

კითხვები

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ექსპერტი არ სწავლობს საქმეს ადვოკატის თვალთახედვით ან სარჩელის მომზადების მიზნით. ექსპერტი მხოლოდ წარმოადგენს ობიექტურ დასკვნას ფაქტების ან კრიმინოლოგიური ასპექტების შესახებ. შესაბამისად, მიზანშეწონილია წინასწარ იმის გარკვევა, თუ რომელ კითხვებზე გსურთ პასუხების მიღება. ეცადეთ მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ ამგვარი კითხვები წერილობითი ფორმით, რათა დარწმუნდეთ, რომ ექსპერტი ყურადღებას გაამახვილებს თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებზე კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერებაც, რომ თქვენ ქირაობთ ექსპერტს, რადგან გესაჭიროებათ ექსპერტული ცოდნა და შესაბამისად, ნუ გექნებათ ზედმეტად შემოჭველი მოთხოვნები და ყოველთვის მიუთითეთ ღია ტიპის შეკითხვები, მაგალითად, ხომ არ არის სხვა რაიმე საკითხი, რაც არ არის მოცემული წარმოდგენილ კითხვებში.

მაგალითი 1

მაგალითად, თუკი მოიწვიეთ ექსპერტი პათოლოგოანატომი, რათა მან შეაფასოს გვამის გაკვეთის დასკვნის სანდოობა, ექსპერტისადმი დასმული შეკითხვები შეიძლება იყოს შემდეგი: დაიცვა თუ არა სახელმწიფო პათოლოგოანატომმა საუკეთესო პრაქტიკის თანახმად გათვალისწინებული აუცილებელი პროცედურები (მათ შორის საერთაშორისო სტანდარტები); აღწერა თუ არა ექსპერტმა ყველა დაზიანება (მაგალითად, შეადარა თუ არა ექსპერტმა გაკვეთის დასკვნა და გვამზე არსებული დაზიანებების ამსახველი ფოტოსურათები ან მოწმის ჩვენებები ერთმანეთს); შეესაბამება თუ არა დასკვნა დაფიქსირებულ დაზიანებებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას; შეიძლებოდა თუ არა სიკვდილი გამოეწვია არასათანადო

მოპყრობას; ან ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც ექსპერტი მიიჩნევს მიზანშეწონილად. რასაკვირველია, შეკითხვები იქნება განსხვავებული კონკრეტული ფაქტების მიხედვით: თუკი საქმეში იარაღი იქნა გამოყენებული, თქვენი შეკითხვა შეიძლება შეეხებოდეს თუ რამდენად ამოცნობადია იარაღის ტიპი დაზიანებების ხასიათიდან გამომდინარე ან, მაგალითად, ამოღებული იქნა თუ არა ტყვია იდენტიფიცირების მიზნით.

მაგალითი 2

მაგალითად, ქალის მიმართ ძალადობის საქმეზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა „ღირსებაზე“ დაფუძნებული ღირებულებების მქონე თემში, ექსპერტის დასკვნა შესაძლოა მომზადდეს „ღირსებებზე“ დაფუძნებული საზოგადოებებისა და ღირებულებების შესახებ. ექსპერტისადმი დასმული კითხვები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: ღირებულებების მნიშვნელობა თემის წევრებისათვის; „ღირსებაზე“ დაფუძნებული ღირებულებების გავლენა ქალის ქცევაზე თემში; ნებისმიერი ქცევა (სავარაუდოდ, რომელიც მიიჩნევა არასათანადოდ), რამაც მოახდინა ძალადობის პროვოცირება; და ძალადობის გავლენა მსხვერპლსა და მის მომავალ ცხოვრებაზე ამგვარ თემში, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც ექსპერტი ჩათვლის მიზანშეწონილად. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს არის ზოგადი მაგალითები, ხოლო რეალური და მნიშვნელოვანი შეკითხვები დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე.

საქმის შესწავლა

არ მოსთხოვთ ექსპერტს წარმოადგინოს ინფორმაცია მისი ექსპერტული ცოდნის მიღმა და ასევე ტენდენციური შეხედულებები. ამასთან, თუ ექსპერტი არ გასცემს პასუხს თქვენთვის საინტერესო შეკითხვას ან წარმოადგენს ბუნდოვან დასკვნას, რომლის გააზრებასაც ესაჭიროება პროფესიონალური ცოდნა, ნუ მოგერიდებათ და მოსთხოვეთ ექსპერტს ამგვარი საკითხების დაზუსტება, ვინაიდან ეს მისი, როგორც ექსპერტის, ვალდებულებაა. მაგალითად, როდესაც ექსპერტი ზოგადად ასკვნის, რომ ექსპერტიზა არ იქნა ჩატარებული მართებულად, მოითხოვეთ შეცდომებისა ან ხარვეზების დაზუსტება; თუკი რაიმე ღონისძიება არ ჩატარდა საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, მოსთხოვეთ ექსპერტს განსაზღვროს, თუ რას მოითხოვს საუკეთესო პრაქტიკა ან წარმოადგინოს შესაძარბელები იურისდიქციის მაგალითები. გაითვალისწინეთ, რომ საექსპერტო დასკვნა მიზნად ისახავს ნათელი მოჭვინოს ისეთ საკითხებს, რომლებიც საჭიროებენ პროფესიონალურ ცოდნას და ამიტომ, ამგვარი დასკვნა უნდა იყოს გასაგებია არაპროფესიონალთათვის და არ უნდა შეიცავდეს ბევრ ტექნიკურ ან სპეციფიკურ ტერმინს.

სიზუსტე

აუცილებელია, ექსპერტიზის დასკვნის გადახედვა, რათა დარწმუნდეთ, რომ საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები ზუსტად არის მითითებული და გამორიცხოთ რაიმე შეცდომა ან ხარვეზი. გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტი საქმის მასალებს არ იცნობს ისევე დეტალურად როგორც ადვოკატი, შეიძლება მან დაუშვას შეცდომა სახელებთან/თარიღებთან დაკავშირებით და ა.შ. ხარვეზების აღმოჩენისას აუცილებელია მათი შესწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას დასკვნის ღირებულებას.

ამასთანავე, სულაც არ იქნება საზიანო, თუკი საექსპერტო დასკვნა ადვოკატის პოზიციისგან განსხვავებულ მოსაზრებას შემოგვთავაზებს ზოგიერთ საკითხთან მიმართებით, თუკი რასაკვირველია ამგვარი საკითხები არ არის არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელი საქმისათვის. დამოუკიდებლობის ამგვარი მაგალითი მეტ სანდოობას მიანიჭებს დასკვნის მიუკერძოებლობას.

რას უნდა შეიცავდეს ექსპერტიზის დასკვნა?

საექსპერტო დასკვნა უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- შესავალი ნაწილი ან სამოტივაციო წერილი, რომელშიც მითითებულია ექსპერტის კვალიფიკაცია, გადამზადება და გამოცდილება, მათ შორის პროფესიული ნიშნით დაკავებული თანამდებობები და პუბლიკაციები;

- მასალები, რომლებსაც ექსპერტი დაეყრდნო დასკვნის მომზადებისას (კონკრეტული საქმის დოკუმენტები და ნებისმიერი სხვა ლიტერატურა ან მასალა);
- ექსპერტის წინაშე დასმული შეკითხვები ან მოთხოვნები;
- ფაქტების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც მოცემულია დასკვნაში და წარმოადგენს მის საფუძველს;
- ჩატარებული ნებისმიერი ტესტის ან სასამართლო-სამედიცინო ან ტექნიკური ექსპერტიზის არსი და განმარტებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, თუკი ამგვარი პირი არ არის ექსპერტი;
- ფაქტობრივი საკითხები და მოსაზრებები უნდა იყოს მკაფიოდ გამიჯნული;
- ექსპერტის მოსაზრებები, რომლებიც მიღებული იქნა მხოლოდ ექსპერტული ცოდნის ფარგლებში კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით და ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც არ შედის ექსპერტის კომპეტენციაში;
- დასაბუთებული დასკვნა, ან თუ ექსპერტს არ შეუძლია ამგვარი დასკვნის წარმოდგენა, უნდა იქნას მითითებული მიზეზები;
- ნამდვილობის დამადასტურებელი ხელმოწერილი განცხადება ქვემოთ მოცემული ფორმით: ვადასტურებ, რომ ნათლად მაქვს გაცნობიერებული წინამდებარე დასკვნაში მოცემული რომელი ფაქტი და გარემოება შედის ჩემი ექსპერტული ცოდნის სფეროში და ვადასტურებ მათ უტყუარობას. ჩემს მიერ გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს ჩემს ჭეშმარიტ და სრულყოფილ პროფესიულ შეხედულებას კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.



დანართი

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) მიერ საქმეში ჩართული იქნა ექსპერტები მთელ რიგ საქმეებთან დაკავშირებით ჩვენს რეგიონში. ქვემოთ გაეცნობით იმ საქმეებს, რომლებზეც სასამართლომ უკვე გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება.

1. საქმე №16363/07 (20.12.2016) „ძიძავა რუსეთის წინააღმდეგ“

საქმე „ძიძავა რუსეთის წინააღმდეგ“ ეხებოდა 2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის იანვრამდე რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების მასობრივ გამოძევებას. აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, მომჩივანის მეუღლე, ბ-ნი თენგიზ ტოგონიძე, სანამ განხორციელდებოდა მისი დეპორტაცია, დააპატიმრეს და ამყოფეს ანტისანიტარულ პირობებში. ასთმით დაავადებული ბატონი ტოგონიძე შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა დომოდედოვოს აეროპორტში მიყვანისთანავე. თავდაპირველმა გაკვეთამ დაადგინა ტუბერკულოზი, როგორც გარდაცვალების მიზეზი და დაასკვნა, რომ ბ-ნი ტოგონიძე გარდაიცვალა ბუნებრივი მიზეზების გამო. ამის შემდგომ ჩატარდა შარდის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის თანახმად შარდში აღმოჩენილი იქნა მეტადონი და სიკვდილის მიზეზად საბოლოოდ განისაზღვრა მეტადონით ინტოქსიკაცია. ბ-ნი ტოგონიძის მეუღლე, ნინო ძიძავა არ დაეთანხმა აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნას. გარდა იმ მტკიცებულებისა, რომ ბატონი ტოგონიძე შეუძლოდ გახდა აეროპორტში, საქმეს მთავარ მტკიცებულებად დაემატა გაკვეთის დასკვნაც. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა ცენტრმა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) ერთობლივად დაიქირავეს სასამართლო პათოლოგოანატომი, რათა მას შეეფასებინა ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის მართებულობა და სიზუსტე. სწორედ, მოწვეული ექსპერტის დასკვნამ, რომელიც მოცემულია ქვემოთ, ითამაშა გადამწყვეტი როლი საქმის განხილვისას, სადაც სასამართლომ დაადგინა სიცოცხლის უფლების დარღვევა.

ამონარიდი ძიძავას საქმის გადაწყვეტილებიდან:

მომჩივანის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო დასკვნა

36. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, კერძოდ კი, გაკვეთის დასკვნისა და სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის საპასუხოდ, მომჩივანმა წარმოადგინა საკუთარი სამედიცინო დასკვნა ქმრის გარდაცვალების შესახებ. დასკვნა მომზადდა სასამართლო პათოლოგოანატომის, დოქტორ ჯონ კლარკის მიერ - გაერთიანებული სამეფოს სხვადასხვა უნივერსიტეტის ყოფილი ლექტორი და გაეროს იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (ICTY) ყოფილი მთავარი პათოლოგოანატომი - რომელსაც დახმარებას უწევდა სასამართლო ტოქსიკოლოგი, დოქტორი ჰილარი ჰამნეტი.

37. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა სიკვდილის მიზეზად მიუთითეს მეტადონით ინტოქსიკაცია იმის საფუძველზე, რომ ბ-ნი ტოგონიძის სისხლში და შარდში აღმოჩენილი იქნა მეტადონი და რომ მას სხეულზე აღენიშნებოდა სამი ინექციის კვალი. ექსპერტებმა ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პროკურატურის წარმომადგენლებმა ამ ფაქტებიდან გამომდინარე დაასკვნეს, რომ ბ-ნი ტოგონიძე დიდი ხნის განმავლობაში განმეორებით მოიხმარდა ნარკოტიკულ საშუალებებს. რაც შეეხება ნანემსრებს, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მარცხენა იდაყვის მოხრის ადგილას ინექციის კვალი წარმოშობილი იქნა აეროპორტში რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარების დროს, რა დროსაც პაციენტს ინტრავენურად შეუყვანეს სამედიცინო პრეპარატები, ხოლო დანარჩენი ორი ინექციის კვალი კი მარცხენა მხარის ქვედა მესამედში, იყო პრეპარატების თვითინექციისთვის ძალიან უჩვეულო ადგილი. ექსპერტებმა ასევე მიუთითეს, რომ მეტადონი ჩვეულებრივ მიიღება თხევადი ფორმით და ძალიან იშვიათ შემთხვევაში ინექციის სახით. გარდა ამისა, მათი აზრით, ბ-ნი ტოგონიძის სიცოცხლის ბოლო რამდენიმე საათი არ შეესაბამება მეტადონის ინტოქსიკაციისგან გარდაცვლილი ადამიანის „ჩვეულ“ სიკვდილს. გამომდინარე იქიდან, რომ მეტადონს ახასიათებს სედაციური მოქმედება, აღნიშნული პრეპარატის ინტოქსიკაციისგან ადამიანი როგორც წესი კვდება უგონო მდგომარეობაში

ყოფნის დროს. ბ-ნ ტოგონიძეს კი ძილიანობა არ აღენიშნებოდა, მან შეძლო საქართველოს კონსულთან გასაუბრება და რამდენიმე ნაბიჯის გავლაც კი, სანამ მოულოდნელად დაკარგავდა გონს. დაბოლოს, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ნარკოტიკების განმეორებითი მოხმარების დასკვნას არ ჰქონდა თან დართული თმის ღერის ნიმუშის ანალიზი ან რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება, მაგალითად გამოყენებული საინექციო ნემსი, ამპულა ან შპრიცი, რომელიც აღმოჩენილი იქნა ბ-ნი ტოგონიძის სხეულზე ან მის უჯრედებში.

38. სასამართლო-ქიმიურ ექსპერტიზასთან დაკავშირებით ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ექსპერტიზა არ იქნა ჩატარებული საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად და რომ მეტადონის დონე გაზომილ იქნა მხოლოდ შარდის და არა სისხლის ნიმუშის მიხედვით. ექსპერტების აზრით, დაუშვებელია ინტოქსიკაცია დავასკვნათ მხოლოდ შარდში აღმოჩენილი ნივთიერების დონის მიხედვით, რადგან გარკვეული დროის განმავლობაში ნივთიერებები ისედაც გროვდება შარდის ბუშტში და მხოლოდ სისხლის ნიმუშს შეუძლია დაადგინოს სავარაუდო ინტოქსიკაცია ან ინტოქსიკაციის არარსებობა.

39. და ბოლოს, სასამართლო-სამედიცინო პათოლოგოანატომის დასკვნით არ არსებობდა არანაირი სამეცნიერო დასაბუთება იმისა, რომ მეტადონით ინტოქსიკაციამ გამოიწვია პირის გარდაცვალება. მან სიკვდილის მიზეზად მიიჩნია სასუნთქი გზების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებით გამოწვეული ჩირქოვანი ბრონქოპნევმონია. პათოლოგოანატომმა ასევე მიუთითა, რომ ფილტვების ქრონიკული დაავადების გამო, ბ-ნ ტოგონიძეს განუვითარდა გულმკერდის ღრუს ინფექცია და ფილტვების ანთება ხალხმრავალ, უჰაერო სივრცეში ყოფნის შედეგად. შესაბამისად, ბ-ნი ტოგონიძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება შესამჩნევი უნდა ყოფილიყო, რადგან იგი თავს იგრძნობდა ცუდად და გამოუვლინდებოდა ისეთი სიმპტომები, როგორცაა ხრიალი და ხველა. დროული ჰოსპიტალიზაცია და ანტიბიოტიკოთერაპია ჩაითვლებოდა მართებულ ღონისძიებებად.

სასამართლოს შეფასება

1. ბ-ნი ტოგონიძის გარდაცვალება

7. საქმის კონკრეტულ გარემოებებზე მსჯელობისას სასამართლო აღნიშნავს, რომ რუსეთის პროკურატურის საბოლოო დასვნიტ, ბ-ნი ტოგონიძე გარდაიცვალა მეტადონით გამოწვეული ინტოქსიკაციის გამო. შესაბამისად, ბ-ნი ტოგონიძის გარდაცვალების გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ უნდა დაადგინოს წარმოდგენს თუ არა ზემოთაღნიშნული დასკვნა დამაკმაყოფილებელ და დამაჯერებელ ახსნას პატიმრობაში მყოფი ადამიანის გარდაცვალების შესახებ. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო დასკვნა ხაზს უსვამს რუსეთის პროკურატურის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში არსებულ რამდენიმე შეუსაბამობას და რომ პროკურატურას ამასთან დაკავშირებით არ წარმოდგენია არანაირი არგუმენტი - რომელიც ნათელს მოჰფენდა სამედიცინო დასკვნაში აღმოჩენილ შეუსაბამობებს (იხ. პუნქტი 36-39). სასამართლო კონკრეტულად აღნიშნავს, რომ ბ-ნი ტოგონიძის სისხლში აღმოჩენილი მეტადონის დონე არ იქნა გაზომილი და შესაბამისად შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ მეტადონის რა დოზა იქნა სავარაუდოდ მიღებული ბ-ნი ტოგონიძის მიერ. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ბატონ ტოგონიძეს არ ჰქონია თან არც ნარკოტიკული საშუალება და არც ნარკოტიკებთან დაკავშირებული რაიმე ნივთი და რომ მისი დაკავების დროს არ დაფიქსირებულა მის მიერ ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი. გარდა ამისა, სასამართლო ეთანხმება სამედიცინო დასკვნაში მითითებულ ფორმულირებას, რომ მარცხენა მხრის ქვედა მესამედი ძალიან უჩვეულო ადგილია პრეპარატის თვითინექციისათვის. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სამი ინექციის კვალით ნარკოტიკების ხანგრძლივი მოხმარების დადგენა შეუძლებელია დამატებითი მტკიცებულების არარსებობის ფონზე. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ პროკურატურის მტკიცებით, ავტობუსში ასვლამდე ბ-ნ ტოგონიძეს ჩაუტარდა ჩხრეკა და იგი იმყოფებოდა დაკვირვების ქვეშ ავტობუსით მგზავრობის განმავლობაში და ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ მას შეეძლებოდა ნარკოტიკული საშუალების შეძენა ან მიღება

სიკვდილამდე ბოლო 9-10 საათის განმავლობაში. დაბოლოს, სასამართლო ასევე უთითებს, რომ ბ-ნი ტოგონიძის გარდაცვალების კონკრეტული გარემოებები და მისი ქცევა გონების დაკარგვამდე ცოტა ხნით ადრე, არ შეესაბამება მეტადონის გადაჭარბებული დოზის მიღების შედეგად განვითარებულ მდგომარეობას.

58. ზემოხსენებული მოსაზრებები საკმარისია იმისთვის, რათა სასამართლო დაასკვნას, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ ბ-ნი ტოგონიძის გარდაცვალების შესახებ წარმოდგენილი განმარტებები, განსაკუთრებით კი მომჩივანის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო დასკვნის (იხ. პუნქტები 36 - 39), და პროკურატურის განმარტებითი პასუხის არარსებობის ფონზე, ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად და დამაჯერებლად. შესაბამისად, სასამართლო ადგენს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.

2. საქმე №26562/07, 14755/08 (13.04.2017) „თაგაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“

საქმე „თაგაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ,“ ეხებოდა 2004 წლის სექტემბერში ქალაქ ბესლანში განხორციელებული სკოლის ალყას, რომლის დროსაც ჩეჩენმა სეპარატისტებმა მძევლად აიყვანეს 1000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე (მათ შორის 886 ბავშვი) ცოდნის დღეს, ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანის №1 სკოლის შენობაში და ტყვეობაში ამყოფეს სამი დღის განმავლობაში სკოლის სპორტდარბაზში, რომელიც დანადგური იყო ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობებით. მესამე დღეს სპორტდარბაზში მომხდარი აფეთქების საპასუხოდ, რუსეთის სპეცრაზმი შეიჭრა სკოლაში სატანკო ჭურვებისა და სხვა მძიმე შეიარაღების გამოყენებით, რის შედეგად დაიღუპა 331 ადამიანი (186 ბავშვი). ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა ცენტრმა და სამოქალაქო ორგანიზაცია „მემორიალმა“ იურიდიული წარმომადგენლობა გაუწია 350-ზე მეტ მომჩივანს, რომლებიც თავად იყვნენ მძევლები ან რომელთა ახლობლები და ნათესავები დაიღუპნენ ალყის დროს.

ზემოთ აღნიშნულ საქმეში არსებული მტკიცებულებების უმრავლესობის გაცნობის შემდეგ დაისვა უამრავი კითხვის ნიშანი შემდეგ ასპექტებთან დაკავშირებით: ტერაქტის აღსაკვეთად მიღებული ზომების საფუძვლიანობა; სამაშველო ოპერაციის ორგანიზებულობის ადექვატურობა; ოპერატიული სარდლობის როლი და სტრუქტურა; ლეტალური იარაღის გამოყენება და ამგვარი იარაღის გამოყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, და მსხვერპლთა სრულფასოვანი აუტოფსიის შეუსრულებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ხაზგასმით შეგვეძლო დაგვესაბუთებინა გატარებული ზომების უსაფუძვლობა და სპეცოპერაციის ორგანიზების კრახი, რაც ჩვენს ხელთ არსებული მტკიცებულებებით ნათლად დასტურდებოდა, ჩვენ ასევე ვაცნობიერებდით, რომ სახელმწიფოს რეაგირება ტერორისტულ საფრთხეზე და მასობრივ თავდასხმაზე რთული და სპეციფიკური საკითხი იყო, რომელიც სცდებოდა ჩვენი ექსპერტული ცოდნის ფარგლებს და რომ ჩვენი მოსაზრებები ზემოთ აღნიშნულ ასპექტებთან დაკავშირებით ჩაითვლებოდა ნაკლებ დამაჯერებლად ექსპერტის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებისგან განსხვავებით. შესაბამისად, ჩვენ მოვიწვიეთ კონტრტერორიზმისა და სამხედრო საკითხების ექსპერტი ტერაქტის აღსაკვეთად მიღებულ ზომებთან, სამაშველო ოპერაციისა და ძალის გამოყენების ბრძანებასა და მართვასთან დაკავშირებით არსებული მტკიცებულებების შესაფასებლად. ჩვენ ექსპერტს წარვუდგინეთ მთელი რიგი დეტალური შეკითხვები ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით და ვთხოვეთ წარმოედგინა საკუთარი მოსაზრება და ასევე გაემყარებინა დასკვნა დიდი ბრიტანეთის ანტიტერორისტული პროცედურების მაგალითებით, რომლებიც ზემოთ აღნიშნული სცენარის დადგომის შემთხვევაში განხორციელდებოდა. ჩვენ ასევე დავიქირავეთ ექსპერტი პათოლოგოანატომი, რათა მას შეეფასებინა ხელისუფლების მიდგომა ფართომასშტაბიანი მკვლელობის მიმართ და ჩატარებული აუტოფსიების ადექვატურობა. ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნები შეჯამებული იქნა სასამართლოს გადაწყვეტილების 435-456 პუნქტებში (იხილეთ ამონარიდები ქვემოთ). ამკარაა, რომ ექსპერტების დასკვნებმა გავლენა მოახდინა სასამართლოს საბოლოო მსჯელობაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა სიცოცხლის უფლების დარღვევა შემდეგ ოთხ ასპექტში: ტერაქტის აღსაკვეთად

გონივრული ზომების მიუღებლობა; სამაშველო ოპერაციის მართვისა და დაგეგმვის კრახი; ლეტალური იარაღის განურჩეველი და არაპროპორციული გამოყენება; და ეფექტური გამოძიების განუხორციელებლობა.

ზ. დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების შემდეგ მომჩივანის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნები

435. 2015 წლის 9 ივნისს, საჩივრის დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, მომჩივანებმა სასამართლოს წარუდგინეს ორი დამატებითი დოკუმენტი - დაზარალებულების მიერ დაქირავებულ დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ მომზადებული დასკვნები კონტრტერორისტული და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ასპექტებთან დაკავშირებით.

1. ექსპერტიზის დასკვნა კონტრტერორიზმის შესახებ

436. 2014 წლის სექტემბერში, მომჩივანთა წარმომადგენლის, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის თხოვნის საფუძველზე, ორმა ბრიტანელმა ექსპერტმა ანტიტერორისტულ საკითხებში მოამზადა დასკვნა. ექსპერტები იყვნენ ბატონი რალფ როში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, ინგლისსა და უელსში მოღვაწე იურისტი, ასევე ევროპის საბჭოსა და ეუთოს კონსულტანტი საპოლიციო მომსახურებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში, ევროპის საბჭოს პუბლიკაციის „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საპოლიციო მომსახურების“ (2013) თანაავტორი; და ბატონი ჯორჯ მაკკოლი, ყოფილი მთავარი გამომძიებელი სუპერინტენდანტი და ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის სამმართველოს სპეციალური ოპერაციების განყოფილების ყოფილი უფროსი. ანგარიშის მომზადებისას დასკვნის ავტორებმა მოიძიეს ღია წყაროები, მათ შორის საქმეში არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით გადაცემული პატაკები, და გაანალიზეს კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისი სტანდარტების მიზანშეწონილობა ოპერაციის სხვადასხვა ასპექტებთან მიმართებაში. ექსპერტების საკვანძო მიგნებები შემდეგნაირად შეჯამდა.

(ა) ხელისუფლებისთვის ცნობილი რეალური და პირდაპირი საფრთხის არსებობა

437. უშუალოდ ბესლანის თავდასხმის წინ განხორციელებული თავდასხმებისა და ხელისუფლების ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ექსპერტებმა დაასაბუთეს, რომ „2004 წლის აგვისტოს ბოლოდან სექტემბრის დასაწყისამდე, რუსეთის სამხრეთ ფედერალურ მხარეში არსებობდა ტერორისტული თავდასხმის ძალიან მაღალი რისკი, კერძოდ, [ჩრდილოეთ ოსეთის] და ინგუშეთის სასაზღვრო რაიონებში. აღნიშნული საფრთხის კლასიფიცირება შეიძლებოდა, როგორც რეალური საფრთხე, რადგან საშიშროება დადასტურდა ფედერალური ორგანოს [შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ] გაცემული სხვადასხვა ბრძანებებით, სატელეფონო ჩანაწერებით და დოკუმენტებით. აღნიშნული საფრთხე ასევე შეიძლება შეფასებულიყო როგორც პირდაპირი, ვინაიდან ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნახსენები იყო თავდასხმა, რომელიც განხორციელდებოდა ერთ კონკრეტულ დღეს: პირველ სექტემბერს.“ ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ თარიღის გარდა, აღნიშნულ ინფორმაციებში საუბარი იყო კონკრეტულ ტერიტორიაზე - ჩრდილოეთ ოსეთისა და ინგუშეთის საზღვართან ახლოს - და პოტენციურ სამიზნეზე, ვინაიდან თავდასხმის განხორციელების გეგმა ემთხვეოდა ცოდნის დღეს. გამომდინარე იქიდან, რომ ბესლანი იყო ოსეთის უდიდესი ქალაქი მალგობეკის რაიონიდან 20 კილომეტრის რადიუსში, სადაც სავარაუდოდ ტერორისტები მანამდეც იკრიბებოდნენ, ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ „ბესლანი და ახლო რადიუსში არსებული სხვა ქალაქები აშკარად იმყოფებოდნენ პირველ სექტემბერს სკოლაზე დაგეგმილი თავდასხმის რეალური და უშუალო საფრთხის ქვეშ.“ შესაბამისად, სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ასეთი მასშტაბური შეტევა ადამიანების სიცოცხლის მნიშვნელოვან დანაკარგს ნამდვილად გამოიწვევდა. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ დეტალიზების ის დონე, რომელიც დაფიქსირდა სატელეფონო კომუნიკაციების შედარებით „გაფილტრულ ვერსიებში“ და სხვადასხვა ჩანაწერებში, მიუთითებდა იმაზე, რომ ტერორისტულ ჯგუფში შესაძლოა

ჩანერგილი იყო „უშიშროების საიდუმლო აგენტი,“ და ხორციელდებოდა ასევე ტექნიკური დაფარვა, როგორცაა სატელეფონო კომუნიკაციების მიყურადება. შესაბამისად, ტერორისტების დაგეგმილი ქმედება ხასიათდებოდა „პროგნოზირებადობის მაღალი ხარისხით.“

438. რაც შეეხება საფრთხის მასშტაბებს, რომელიც ასოცირდებოდა „კარგად ორგანიზებულ, დაუნდობელ და მიზანმიმართულად მოქმედ ტერორისტებს, რომელთა... აქტიურ სამიზნესაც წარმოადგენდა მშვიდობიანი მოსახლეობა,“ დასკვნა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ცოდნის დღის მნიშვნელობას რუსეთის მოსახლეობისათვის და ამტკიცებს, რომ ამ დღეს სკოლაზე განხორციელებული თავდასხმა „მიზნად ისახავდა მოსახლეობისთვის დიდი ტკივილის მიყენებას“ - რის მიღწევასაც ტერორისტები ნამდვილად ცდილობდნენ.

(ბ) შესაძლო პრევენციული ზომები

439. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ საფრთხის მაღალი პროგნოზირებადობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი ოპერატიული ზომები „უნდა განხილულიყო პრიორიტეტულად ყველა სხვა საფრთხესთან მიმართებით.“ ექსპერტებმა შესაძლო რეაგირება სამ კატეგორიად დაყვეს: (i) სამიზნეს გაუქმება, (ii) ინტერვენცია და (iii) უსაფრთხოება. სამიზნეს გაუქმების მაგალითი შესაძლოა ყოფილიყო სასწავლო წლის გახსნის გადადება კონრეტულ ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ქმედება იქნებოდა უპრეცედენტო, ეს აიძულებდა ტერორისტებს უარი ეთქვათ მნიშვნელოვან სამიზნეზე. რაც შეეხება ინტერვენციას, ნებისმიერი კომენტარი აუცილებლად სპეკულაციური იქნება დამატებითი ინფორმაციის არარსებობის გამო. შესაძლოა, ხელისუფლებამ არ მოახდინა რაიმე პრევენციული დარტყმა იმ მიზეზით, რომ ამის გაკეთება გამოავლენდა ჩანერგილ აგენტებს, ან ნებისმიერი სხვა მიზეზების გამო - მაგალითად, უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლების სიცოცხლისათვის სერიოზული საფრთხის გამო. ამის მიუხედავად, აშკარაა, რომ „რისკი უფრო მეტად გაიზრდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ტერორისტული ჯგუფი შეძლებდა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანას,“ ხოლო აგენტების დაცვის აუცილებლობა არ შეიძლება განხილული იქნას ადამიანის სიცოცხლის სერიოზული რისკის წინაშე დაყენების გამამართლებელ გონივრულ არგუმენტად. დაბოლოს, რაც შეეხება უსაფრთხოებას, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ „არსებითად პასიური მიდგომა“ „მნიშვნელოვნად არაადექვატური“ იყო არსებული გარემოებების გათვალისწინებით. მათ აღნიშნეს, რომ არ განხორციელებულა საფრთხის ეფექტური მართვა და შეკავება და რომ ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებს აშკარად არ ჰქონდათ სათანადო უნარი გამკლავებოდნენ უსაფრთხოების მხრივ არსებულ მდგომარეობას:

„განჭვრებადობის ხარისხის, [ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ] აღიარებული მაღალი საფრთხისა და ტერორისტების ადგილმდებარეობის სპეციფიკურობის, სავარაუდო სამიზნისა და სავარაუდო არეალის გათვალისწინებით, აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო რესურსების მნიშვნელოვანი და ეტაპობრივი გადასროლა აღნიშნულ ტერიტორიაზე. ამ ზომების მიზანი იქნებოდა ტერორისტების გეგმების ხელშეშლა ან ჩაშლა და მათი იძულება უარი ეთქვათ სამიზნეზე. ამგვარი ქმედებები შესაძლოა ყოფილიყო სამხედრო/ პოლიციური ძალების ფართომასშტაბიანი და საკმაოდ თვალსაჩინო განლაგება ტერორისტული ჯგუფის მოძებნისა და მათი ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით, ავტომობილების საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოწყობა როგორც მთავარი სატრანსპორტო არტერიების გასწვრივ, ასევე სავარაუდო სამიზნე ქალაქების შუაგულში. გარდა ამისა, სპეციფიკური სამხედრო ძალა უნდა განლაგებულიყო სკოლებში, რაც ტერორისტებს ხელს ააღებინებდა სამიზნეზე.“

ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების ვერცერთი ზომა სრულად ვერ უზრუნველყოფდა თავდამსხმელთა კრახის გარანტიას, უსაფრთხოების სამსახურების წარმომადგენელთა ავტომაგისტრალზე და პოტენციურ სამიზნე ობიექტებზე გამოჩენა ითამაშებდა მნიშვნელოვან შემაკავებელ როლს და ხელს

შეუშლიდა თავდამსხმელებს. ექსპერტების აზრით ის ფაქტი, რომ ოცდაათზე მეტი შეიარაღებული ტერორისტისგან შემდგარ ჯგუფს შეეძლო გადაადგილება ადგილობრივ ავტომაგისტრალზე ბელანის მიმართულებით, რომელსაც გზად შეხვდა მხოლოდ ერთი პოლიციელით დაკომპლექტებული სამხედრო ბლოკპოსტი „ცხადყოფს, თუ რამდენად უმოქმედო აღმოჩნდა ხელისუფლება მის ხელთ არსებული ინფორმაციის მიუხედავად.“

440. შედარებისთვის ექსპერტებმა მიუთითეს ის ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგებოდა გაერთიანებულ სამეფოში მსგავსი საფრთხის დაფიქსირების შემთხვევაში. ექსპერტების აზრით შეიქმნებოდა სარდლობის შტაბი, მკაფიო და ანგარიშვალდებული სამეთაურო ქსელით, რომლებსაც განესაზღვრებოდათ მათი როლების შესაბამისი მოთხოვნები. შტაბის შემადგენლობაში იქნებოდნენ პოლიციის მაღალი რანგის ოფიცრები, რომლებიც კოორდინაციას უწევენ ბრიტანეთის არმიის შესაბამის ქვედანაყოფებს, ანტიტერორისტულ დანაყოფებსა და უსაფრთხოების სამსახურებს, აგრეთვე სხვა საჯარო სექტორის ორგანოები, როგორცაა სახანძრო და სამაშველო და სასწრაფო დახმარების სამსახურები. გაერთიანებული სამეფოს მთავრობაში შეიქმნებოდა სპეციალური კრიზისებზე რეაგირების კომისია, რომლის ამოცანაც იქნებოდა სხვადასხვა სამსახურების მოქმედებების კოორდინირება სათანადო რესურსებისა და მედია სტრატეგიის უზრუნველსაყოფად. პოტენციური სამიზნეები „გაძლიერდებოდა“ შეიარაღებული უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ხილული დისლოცირების გზით.

2. ექსპერტიზის დასკვნა სპეცოპერაციის სამედიცინო (სასამართლო-სამედიცინო) ასპექტებთან დაკავშირებით

452. 2015 წლის ოქტომბერში, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის თხოვნის საფუძველზე, გლაზგოდან მოწვეულმა სასამართლო-სამედიცინო პათოლოგოანატომმა მოამზადა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის ფარგლებშიც შეფასებული იქნა ცხედრების მოძიების, სიკვდილის შემდგომი გამოკვლევის და სიკვდილის მიზეზების დადგენასთან დაკავშირებით მომზადებული ექსპერტიზის დასკვნები. დოქტორი ჯონ კლარკი დაახლოებით ოცდაათი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა სასამართლო პათოლოგოანატომის რანგში ინგლისსა და შოტლანდიაში. იგი იღებდა მონაწილეობას საერთაშორისო საქმეებში, იყო ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მთავარი პათოლოგოანატომი (1999-2001), მუშაობდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში აფრიკაში, ასევე წარმომადგენდა გაეროს პალესტინა/იორდანიაში და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. მას ასევე ჰქონდა შესაბამისი აკადემიური და სააღმზრდელო გამოცდილება (წარსულში ეკავა თანამდებობა გლაზგოს უნივერსიტეტში და იყო პათოლოგო-ანატომიის საკვალიფიკაციო ეროვნული გამოცდის გამომცემელი და დიდი ბრიტანეთის სასამართლო პათოლოგოანატომთა პროფესიული ასოციაციის მდივანი). მოცემულ საქმეში, „საქმის გარემოებების შესახებ დასკვნის“ (დასაშვებობის გადაწყვეტილება) გარდა, დოქტორ კლარკს გადაეცა წარმომადგენლების მიერ სასამართლოს წინაშე გაკეთებული ზეპირი განცხადებების ასლები, №1 ექსპერტიზის დასკვნის (2005 წლის 23 დეკემბერი) ინგლისურენოვანი თარგმანი, ხუთი მსხვერპლის აუტოფსიის დასკვნა და პათოლოგოანატომების მიერ ადგილობრივ სამართალწარმოებაში მიცემული ჩვენებების ჩანაწერები. ქვემოთ მოცემულია ექსპერტის მიერ გამოტანილი დასკვნების მოკლე შეჯამება.

453. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ზოგადი ორგანიზაციის შესახებ, დოქტორმა კლარკმა აღნიშნა, რომ ხელისუფლების წინაშე მდგარი ამოცანა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ვლადიკავკაზის პროზექტურა ვერ გაუმკლავდებოდა 300-ზე მეტი ცხედრის შემოღინებას - რასაც ფაქტიურად მსოფლიოს ვერცერთი პროზექტურა ვერ გაართმევდა თავს. შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ალტერნატიული ვარიანტები, მაგალითად, დროებითი პროზექტურის მოწყობა სხვა ტერიტორიაზე (საწყობი ან სამაცივრე ობიექტი - ექსპერტმა გაიხსენა ლოკერბის მოვლენების დროს საციგურაო მოედნის გამოყენება) და სამაცივრე სატვირთო მანქანების მობილიზება ან ცხედრების სხვა პროზექტურებში გადანაწილება. ალყიდან გამომდინარე მოსალოდნელი მსხვერპლის პოტენციურად დიდი

რაოდენობის გათვალისწინებით, წინასწარ უნდა შემუშავებულიყო გარკვეული სისტემა, მოძიებულ ყოფილიყო შესაფერისი ტერიტორია, აღჭურვილობა და პერსონალი, რომელთა მობილიზება მოხდებოდა უმოკლეს დროში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ „ცხედრის შენახვისა და პრეზერვაციის საკითხი უნდა ყოფილიყო პათოლოგოანატომებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, იმის გათვალისწინებით, რომ საკმაოდ ცხელი ამინდები იყო იმ პერიოდში.“ ცხედრების ორგანიზების უფრო მოწესრიგებული ფორმა არა მხოლოდ ნულამდე დაიყვანდა არასწორი იდენტიფიცირების შესაძლებლობას, არამედ შეამსუბუქებდა კრიმინალისტიკურ ჯგუფზე დაწოლას. ეს საშუალებას მისცემდა კრიმინალისტებს უფრო სიღრმისეულად შეესწავლათ ცხედრები, და აუცილებლობის შემთხვევაში, დაედგინათ სიკვდილის მიზეზები, შეესწავლათ და ამოეღოთ გამოძიებისთვის საჭირო მტკიცებულებები, როგორცაა ტყვიები, კუსტარულად დამზადებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ფრაგმენტები და სხვა. მსხვეპლთა ანლობლებისათვის გაკეთებული მკაფიო განმარტება სავარაუდო დაყოვნების დროსთან და ექსპერტიზის საჭიროებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა კრიმინალისტებს და ასევე იმ პირებს, ვინც უშუალოდ მუშაობდა ცხედრებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

454. რაც შეეხება სკოლის შენობაში ცხედრების მოძიებას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო თითოეული ცხედრის ადგილმდებარეობის და პოზის დაფიქსირება, გვამების დანომვრა და სასურველია, ცხედრების ფოტოგრაფირება. არსებულ დოკუმენტებში მითითებული შემთხვევის ადგილის აღწერა და ცხედრების მოძიების ჩანაწერი „აბსოლუტურად არ შეესაბამება ასეთი მნიშვნელოვანი დანაშაულის ადგილის აღწერის წესს და არ იძლევა დამოუკიდებელი ანალიზის ჩატარების საფუძველს, რასაც, როგორც წესი, ნებისმიერი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა უნდა იძლეოდეს.“

455. ის გარემოება, რომ ცხედრების უმეტესობას ჩაუტარდა მხოლოდ ვიზუალური დათვალიერება და არა სრულყოფილი გაკვეთა, გასაგები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი დათვალიერება ძირითადად ჩატარდებოდა გვამების იდენტიფიცირების მიზნით. ამგვარი მიდგომა გამართლებული იყო, მაგალითად, კატასტროფის შედეგად დაზარალებულების შემთხვევებში, ან თუნდაც მასობრივი მკვლელობის ადგილებში, სადაც აშკარად იყო, რომ ადამიანების სიკვდილის მიზეზი გახდა ცეცხლსასროლი იარაღით ან ასაფეთქებელი მოწყობილობით გამოწვეული მასშტაბური დაზიანებები. თუმცადა ასეთი მიდგომა „არ იძლევა სხვა მოულოდნელი მტკიცებულების ან ცხედრიდან ტყვიის ან ნამსხვრევების ამოღების გარანტიას,“ და ამგვარი მასალის მტკიცებულებითი ღირებულება, მაგალითად კონკრეტულ იარაღთან შესატყვისობის დადგენისას, დგება ეჭვქვეშ თუკი გამოყენებული იქნა მალალსიჩქარიანი საბრძოლო იარაღი. უფრო მსუბუქი ვარიანტის სახით შეიძლებოდა ვიზუალიზაციის საშუალებების გამოყენება, მაგალითად, პორტატული რენტგენის აპარატი, რომელიც ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია ნებისმიერ საავადმყოფოში. ეს დაეხმარებოდა კრიმინალისტებს იმის გარკვევაში, თუ რამდენად საჭირო იქნებოდა უფრო სიღრმისეული კვლევა. ზოგიერთ შემთხვევაში, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნა სიკვდილის მიზეზების შესახებ არ შეესაბამებოდა ჩატარებული გამოკვლევების რაოდენობას და რომ ამგვარი დასკვნები უნდა ყოფილიყო „ფორმულირებული უფრო ფრთხილი ტერმინოლოგიით.“ იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, სადაც სიკვდილის მიზეზი დადგენილი არ იქნა ძირითადად ფართო-მასშტაბიანი დამწვრობის გამო, დოქტორი კლარკი მიიჩნევს, რომ სიკვდილის მიზეზის დადგენა შედარებით მარტივად შეიძლებოდა. „პასუხები შეკითხვებზე იმის შესახებ, თუ სად და როდის მოხდა ადამიანების გარდაცვალება და დაფიქსირდა თუ არა სიკვდილი ცეცხლსასროლი იარაღის, აფეთქების, ხანძრის, ტრავმის ან ნებისმიერი სხვა კომბინაციის ზემოქმედებით, რასაკვირველია შეიძლებოდა და უნდა გაცემულიყო ...“

456. ექსპერტი თავის კომენტარში ასევე შეეხო იმ ადამიანებს, რომელთა გვამებიც იმდენად დაიწვა, რომ შეუძლებელი გახდა მათი სიკვდილის მიზეზის დადგენა და ასევე იმის გარკვევა აღნიშნული დამწვრობა სიცოცხლისდროინდელი იყო თუ დაფიქსირდა სიკვდილის შემდეგ. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ სიკვდილის შემდგომ მიღებული დამწვრობა ხშირად ნიღბავს ისეთ დამწვრობას, რომელსაც ადამიანი იღებს სიცოცხლის დროს; რომ ადამიანების უმეტესობა ხანძრის დროს იღუპება კვამლის შესუნთქვისგან და არა დამწვრობისგან; რომ

კვამლის შესუნთქვის დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ გვამის შინაგანი ორგანოების გამოკვლევით, მათ შორის კარბოქსიჰემოგლობინის სისხლის ანალიზით და გვამის გაკვეთით, რათა დადგინდეს, თუ რამდენად არის გაჟღენთილი ჰაერგამტარი არხები კვამლის ჭვარტლით. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ „[i] ცხედრის შინაგანი ორგანოების გამოკვლევა კვამლის შესუნთქვის დასადგენად შეიძლება განხორციელდეს ადამიანის სხეულის თუნდაც ძალიან დამწვარ ან ნაწილობრივ დაზიანებულ ნაშთებზეც კი (ვინაიდან, სასუნთქი ორგანოები, როგორც წესი, კარგად ინახება სხეულის შიგნით), რომლებიც რასაკვირველია, აღწერილია გაკვეთის დასკვნაში და აღბეჭდილია ფოტოსურათებზე. ამრიგად, იმის თქმა, რომ სიკვდილის მიზეზი ვერ დადგინდა სხეულის ძლიერი დამწვრობის გამო, არის სისულელე და არაკეთილსინდისიერება.“

3. საქმე №55723/00 (09.06.2005) „ფადაევა რუსეთის წინააღმდეგ“

საქმე „ფადაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ ეხებოდა ფოლადის ქარხნისგან გამოწვეული ეკოლოგიური დაბინძურების ზეგავლენას ახლომდებარე მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხზე. ქალბატონი ფადაევა და მისი ოჯახი ცხოვრობდნენ ქალაქ ჩერეპოვეცში, რუსეთის ფოლადის მწარმოებელ მთავარ ცენტრში. მათი მუნიციპალური ბინა მდებარეობდა ნახევარი კილომეტრის დაშორებით ფოლადის ქარხნიდან, რომელსაც მართავდა შპს „სევერსტალი“, რუსეთის უდიდესი მეტალურგიული კომპანია. 2000 წელს ხელისუფლებამ აღიარა, რომ გარკვეული საშიში ნივთიერებების კონცენტრაცია ატმოსფეროში ზემოთ აღნიშნულ ზონაში, სადაც ქალბატონი ფადაევა ცხოვრობდა მნიშვნელოვნად აღემატებოდა რუსეთის კანონმდებლობით დადგენილ „მაქსიმალურ დასაშვებ დონეს“. ქალბატონმა ფადაევამ მიმართა ადგილობრივ სასამართლოს ზონის გარეთ განსახლების მოთხოვნით. სასამართლომ დაადგინა, რომ ქ-ნი ფადაევას ბინა მდებარეობდა „სანიტარული უსაფრთხოების ზონაში“, ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა ტერიტორიებს, სადაც დაბინძურების დონე შესაძლოა ყოფილიყო მაღალი და სადაც სავარაუდოდ არ უნდა ყოფილიყო განთავსებული საცხოვრებელი სახლები. სასამართლომ დაადგინა, რომ, პრინციპში, მომჩივანს ჰქონდა უფლება მოეთხოვა განსახლება, თუმცა სასამართლომ არ გასცა კონკრეტული განკარგულება ქალბატონის საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ, ამის ნაცვლად სასამართლომ ადგილობრივ ხელისუფლებას დაავალა ქ-ნი ფადაევას საცხოვრებლის მომლოდინეთა პრიორიტეტულ სიაში ჩასმა. დამატებით სხვა ღონისძიება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით არ განხორციელებულა. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია „მემორიალის“ იურიდიული მხარდაჭერით, ქალბატონმა ფადაევამ სარჩელი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, და მოითხოვა იმის დამტკიცება, რომ მისი განსახლების შეუსრულებლობით დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რაც გულისმობს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევას. ჩვენს მიერ დაქირავებული იქნა ექსპერტი გარემოსდაცვითი ტოქსიკოლოგიის სფეროში, რათა მას შეეფასებინა დაბინძურების ზეგავლენა სანიტარული ზონის მაცხოვრებლების ჯანმრთელობაზე. ქვემოთ მოცემული ექსპერტიზის დასკვნა მნიშვნელოვნად დაეხმარა სასამართლოს, რომ დაედგინა მე-8 მუხლის დარღვევა აღნიშნულ საქმეში.

46. 2004 წელს, მომჩივანმა წარადგინა ექსპერტიზის დასკვნა სათაურით „ქალაქ ჩერეპოვეცში, „სევერსტალის“ ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დაბინძურების დონის ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე.“ მომჩივანის დაკვეთით, დოქტორმა მარკ ჩერნაიკმა მოამზადა ექსპერტიზის დასკვნა [2]. დოქტორმა ჩერნაიკმა დაასკვნა, რომ მისი ვარაუდით აღნიშნულ ზონაში მცხოვრებ მოსახლეობას აწუხებდა უსიამოვნო სუნი, რესპირატორული ინფექციები, ცხვირის ღრუს გაღიზიანება, ხველა და თავის ტკივილი, ფარისებრი ჯირკვლის დარღვევები, ცხვირის ღრუს და სასუნთქი გზების სიმსივნეები, თვალების, ცხვირის და ყელის ქრონიკული გაღიზიანება და ნერვულქცევითი, ნევროლოგიური, გულსისხლძარღვთა და რეპროდუქციული ფუნქციების დარღვევები. ექსპერტიზის დასკვნა შემდეგნაირად შეჯამდა:

„ჩერეპოვეცის სანიტარული უსაფრთხოების ზონაში აღმოჩენილი ტოქსიკური დამაბინძურებლების გადაჭარბებული რაოდენობა მოიცავს ყველა სახის აირისებრ დამაბინძურებელ ნივთიერებას, რომლებიც გარემოში გამოიყოფა უშუალოდ რკინისა და ფოლადის მწარმოებელი ქარხნების (კერძოდ, მეტალურგიული კოქსოქიმიური ნივთიერებების წარმოებაში შემავალი პროცესების გამო) და არა სხვა სამრეწველო ობიექტების მიერ.“

შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ „სერვერსტალის“ ობიექტიდან არასათანადოდ მართული ემისია წარმოადგენს ჩერეპოვეცის სანიტარული უსაფრთხოების ზონის მაცხოვრებელთა ზემოხსენებული ჯანმრთელობის დარღვევების მზარდი შემთხვევების ძირითად მიზეზს.“

85. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ არაერთხელ აღიარა, რომ ჩერეპოვეცში ეკოლოგიურმა მდგომარეობამ გამოიწვია ქალაქის მოსახლეობის ავადობის მაჩვენებლის ზრდა (იხ. ზემოთ 12, 15, 34 და 47 პუნქტები). მომჩივანის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა და ოფიციალური დოკუმენტები, კერძოდ, დოქტორ მარკ ჩერნაიკის ანგარიში (იხ. პუნქტი 46) აღწერს დაბინძურების უარყოფით ზეგავლენას ჩერეპოვეცის ყველა მაცხოვრებელზე, განსაკუთრებით მათზე, ვინც ქარხნის სიახლოვეს ცხოვრობდა. ამრიგად, ორივე მხარის მიერ წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, განსახილველი მთლიანი პერიოდის განმავლობაში, მომჩივანის სახლის მახლობლად ფორმალდეჰიდის კონცენტრაცია ჰაერში აღემატებოდა მაქსიმალურ დასაშვებ დონეს სამიდან ექვსამდე ერთეულით. დოქტორმა ჩერნაიკმა ფორმალდეჰიდის უარყოფითი ეფექტები შემდეგნაირად აღწერა:

„ჩერეპოვეცის სანიტარული უსაფრთხოების ზონაში ფორმალდეჰიდის ზემოქმედების შედეგად, ამავე ზონაში მცხოვრებ მოსახლეობაში ცხვირის ღრუს სიმსივნეების, თავის ტკივილის, თვალების, ცხვირისა და ყელის ქრონიკული გაღიზიანების შემთხვევების რაოდენობა საშუალო მაჩვენებელზე მაღალია იმ მოსახლეობისგან განსხვავებით, რომელიც ცხოვრობს ისეთ ადგილებში, სადაც ჰაერი არ არის დაბინძურებული ფორმალდეჰიდის ჭარბი ოდენობით.“

რაც შეეხება ნახშირბადის დისულფიდს, რომლის კონცენტრაციამ მაქსიმალურ დასაშვებ დონეს გადააჭარბა 1,1-დან 3,75-ჯერ მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში (გარდა 2002 წლისა), დოქტორმა ჩერნაიკმა აღნიშნა:

„ჩერეპოვეცის სანიტარული უსაფრთხოების ზონაში ნახშირბადის დისულფიდის ზემოქმედების შედეგად, ამავე ზონაში მცხოვრებ მოსახლეობას უნდა აწუხებდეს ნეიროქცევიითი, ნევროლოგიური, გულსისხლძარღვთა და რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევები იმ მოსახლეობისგან განსხვავებით, რომელიც ცხოვრობს ისეთ ადგილებში, სადაც ჰაერი არ არის დაბინძურებული ნახშირბადის დისულფიდის ჭარბი ოდენობით.“

86. დაბოლოს, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ მოცემულ საქმეში ადგილობრივმა სასამართლოებმა აღიარეს მომჩივანის უფლება განსახლების შესახებ, თუმცა დაბინძურების ზეგავლენა მომჩივანის პირად ცხოვრებაზე ეროვნულმა სამართალწარმოებამ არ მიიჩნია მნიშვნელოვან ფაქტორად, მაშინ როცა ვოლოგდას საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც მიღებული იქნა ლედიავას საქმესთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ პუნქტი 58), სასამართლომ სადავოდ არ გახადა ის ფაქტი, რომ „სერვერსტალის“ ობიექტების მიერ გამოწვეულმა ეკოლოგიურმა დაბინძურებამ საჭირო გახადა ადამიანების უსაფრთხო ადგილას განსახლების უზრუნველყოფა. უფრო მეტიც, შიდა კანონმდებლობის დასკვნით, ზონა, სადაც მომჩივანის სახლი მდებარეობდა მიჩნეული იქნა საცხოვრებლად გამოუსადეგარად (იხ. პუნქტი 51). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მომჩივანის პირად სივრცეში ჩარევა ადგილობრივი სასამართლოს დონეზე უკვე იქნა აღიარებული.

87. დასკვნის სახით, სასამართლო აღნიშნავს, რომ დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა ტოქსიკური ელემენტების კონცენტრაცია ჰაერში მომჩივანის საცხოვრებელი სახლის

მახლობლად სერიოზულად აღემატებოდა დაბინძურების მაქსიმალურ დასაშვებ დონეს. რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, დაბინძურების მაქსიმალური დასაშვები დონე არის ტოქსიკური ელემენტების უსაფრთხო კონცენტრაცია (იხილეთ ზემოთ პუნქტი 49). შესაბამისად, დაბინძურების მაქსიმალური დასაშვები დონის გადაჭარბების შემთხვევაში, დაბინძურება ითვლება პოტენციურად საზიანოდ მის შორიანხლოს მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის. თუმცა, ეს დაშვება ყოველთვის არ ესადაგება ყველა შემთხვევას. იგივე შეიძლება აღინიშნოს მომჩივანის, ფადაევას მიერ წარმოდგენილი დასკვნების შესახებ: საფიქრებელია, რომ მიუხედავად ჭარბი დაბინძურებისა და მისი უარყოფითი ზეგავლენისა მთლიანად მოსახლეობაზე, მომჩივანს არ განუცდია რაიმე განსაკუთრებული და საგანგაშო ზიანი.

88. მოცემულ შემთხვევაში, ირიბი მტკიცებულებებისა და ვარაუდების ძალზედ მძლავრი კომბინაცია საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მომჩივანის ჯანმრთელობა გაუარესდა „სევერსტალის“ ფოლადის ქარხნიდან გამონაყოფი სამრეწველო გამონაბოლქვის ზემოქმედების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ დაბინძურებამ მომჩივანის ჯანმრთელობას შესაძლოა რაოდენობრივი ზიანი არ მიაყენა, აღნიშნულმა გარემოებამ მომჩივანი უფრო დაუცველი გახადა სხვა დაავადების მიმართ. უფრო მეტიც, ეჭვგარეშეა, რომ ამ ყველაფერმა უარყოფითი ასახვა ჰპოვა მისი ცხოვრების ხარისხზე. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ მომჩივანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ფაქტობრივმა ზიანმა მიაღწია იმ დასაშვებ ზღვარს, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.



EHRAC European Human Rights Advocacy Centre

მიდლსექსის უნივერსიტეტი
ბეროუზ ჰენდონი
NW4 4BT
ტელ: +44 208 411 2826

EHRAC დაარსებულია მიდლსექსის
უნივერსიტეტში. უნივერსიტეტი
გათავისუფლებული საქველმოქმედო
ორგანიზაციაა 1960 წლის საქველმოქმედო
აქტის შესაბამისად.

ეს უბლიკაცია მომზადდა მატრიქსული ალატები
მიერ. ს ამის შინაარსი გამოქვე ნება მ ოლოდ
EHRAC- ს ეკისრება და არავითარ შემთ ვევაში
არ შეი ლება იქნას ა ებული მოსაზრებები
მატრიქსული ალატები.

matrix
chambers